





# ქალიან განვიცდი

ინეპი, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ქალის მოყვარული, მეტ წყნარად ოლიმპიადებზე ქალთა ნაკრების უნებური გამოცდილი. ამ ვარჯიშებში, აგრეთვე, ჩემი მისამართით გამოთქმულმა ცალკეულმა საყვედურებმა, მიბიძგეს ჩემი მოსაზრებანი გამოთქმა მომხდარი ამბის ირგვლივ. თავდაპირველად გუნდის შემადგენლობაზე მოგახსენებ.

ვფიქრობ, ნაკრების დაკომპლექტებაში სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. მიმაჩნია, რომ მისი ფორმირება ერთადერთი ტურნირის შედეგების მიხედვით საერთოდ არ შეიძლება. ეს ფორმალური და ზერეული მიდგომა, არაა, სამეცნიერო საფუძველზე სერიოზულ, სამედიცინო კადრების ორწლიანი ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებას ეხება. ასეთ დროს ერთი წლის შედეგების გამო მათზე უნდა მიიღონ ხოლმე მხედველობაში. მხოლოდ პრეტენდენტთა ტურნირის შედეგებზე დაყრდნობა კი უბრალოდ აბსურდია. ეს შეჯიბრება განსაკუთრებულია და მას პრინციპულად არ შეუძლია შერჩევის ფუნქციების შესრულება, აქ ხომ ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე მატჩის ერთადერთი საგზურისთვისაა. რვავე პრეტენდენტს ერთნაირ

ამოცანა ჰქონდა — პირველი ადგილის დაკავება. ეს განსაზღვრავდა სატურნირო სტრატეგიას. მონაწილენი, რომლებიც არც თუ ისე იბღბიანად გამოდიოდნენ, რისკზე უნდა წასულიყვნენ, რაც დაფუძნებული სიტუაციით არ იყო გამართლებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, აღვნიშნავ, რომ მეორე ადგილი მონაწილეს უფლებას აძლევდა პრეტენდენტთა შემდგომ ტურნირში ეთამაშა. სხვა ადგილებს კი მონაწილეთა უმეტესობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია.

აბა, როგორ შეიძლება ნაკრების დაკომპლექტების ამოსავალ წერტილად სწორედ ამ ტურნირში ნაჩვენები შედეგი აეღოთ? ეს მით უფრო გაუგებარია, რომ წინააღმდეგობა იყო ცნობილი: თელავის მატჩის მონაწილენი ოლიმპიადებზე დაქანცულნი ჩავიდოდნენ და გუნდში „მესანგრეველ“ ვერ გამოვადგოდნენ. ესე იგი, ეს როლი თავის თავზე სხვებს უნდა აეღოთ. შეეძლოთ ამის გაკეთება ლევიტინასა და ლიტინსკაისა, რომლებიც „სპორტული შერჩევის“ პრინციპის მიხედვით იყვნენ გუნდში მოხვედრის პრეტენდენტები? ამის თაობაზე ოლიმპიადებზე დიდ ექვემდებარებას განვიხილავთ. სამწუხაროდ, ეს ექვემდებარება

როდ, ეს ექვემდებარება გამართლდა. როგორ შეიძლება საერთო წარმატების იმედს გქონდეს, როცა მესამე დაფაზე გუნდი ოთხ დამარცხებას განიცდის. აღვნიშნავ, როგორც წინა, სწორედ ბოლო დაფაზე წყდებოდა ოლიმპიური ოქროს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ. სწორედ აქ ვკობდით ერთი თავით მეტოქეებს.

მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო „მესანგრეველი“ გუნდში? პასუხი ნათელია: ახმლოვსკაია (მისმა სპორტულმა შედეგმა „ერთთა ტურნირზე“ დაადასტურა ეს) და გაფრინდაშვილი. ქალბატონ ნონას სასარგებლოდ, პირველ ყოვლისა, ის პარაკობდა, რომ იგი ბრწყინვალე გუნდური მეტროლოია (საკმარისი გავისხენით მის მიერ წინა ოლიმპიადებზე დამყარებული რეკორდი, რომლის გაუმჯობესებაც შეუძლებელია: ათიდან ათი). გაფრინდაშვილის გუნდში ჩართვის აუცილებლობა ბევრს ესმოდა. სამწუხაროდ, ქალთა კომისიამ ამ საკითხში არაჩვეულებრივი „პრინციპულობა“ გამოიჩინა.

ქალბატონ ნონას არყოფნა მთელი რაიონის სხვა რაიონის დეტყურო. რაოდენ უსიამოვნოა ამის აღიარება, მაგრამ გუნდში მეტად არასახარბიელო ატმოსფერო იყო.

კრებები, ერთობლივი მომზადება, სამატჩო ტექნიკის მოთაბირება, ინფორმირებული იყო. სავსებით გაცილებული არსებობდა ლევიტინა. როგორც ყველაფერი ამის აბოთუბა, ისე „გაიფრინდა“ ახმლოვსკაიას გამგზავრებამ. წინა ოლიმპიადებზე სწორედ გაფრინდაშვილს შეეძლო გუნდის გაერთიანება, საჭირო ატმოსფეროს შექმნა. და ამაში მისი შეცვლა ვერაფერს მოახერხებდა, მათ შორის ვერც მე და ვერც ნაკრების კაპიტანმა რ. ბილუნივამ.

ჩემი მისამართით გამოთქმულ ვარჯიშულ საყვედურებს ვიღებ. მაგრამ „დაწამალის“ შემარბილებელ მდგომარეობებზეც ვიტყვი. ოლიმპიადის დაწყებდან ორი კვირით ადრე მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის უაღრესად დაძაბული მატჩის ორივე მონაწილემ ვაცნობეთ კადრების ფედერაციასა და სამმართველოს, რომ დიდი ფიზიკური დადლილობის შედეგად გერმანიის ოლიმპიადებში მონაწილეობას. ინტერვალში ამ ორ ძალზე სერიოზულ შეჯიბრებას შორის მხოლოდ სამი დღე იყო. და ექიმები, ფსიქოლოგები, დაყენებით მოთხოვნდნენ, რომ ოლიმპიადებზე არ მეთამაშა. თავდაპირველად ჩვენი მოსაზრება დამაჯერებლად მიიჩნინეს, თუმცა ზედ ოლიმპიადის წინ მათზე დამითანხმეს, მიზნად პირველი დაფის „დახურვა“ დამისახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმ-

ლური დადებითი შედეგი უნდა მიჩვენებინა. ამ შედეგს მე გადავაყენებ, „პლუს ოთხი“ მოგვეტოვებ. მეტისთვის ქალი არ მეყოფა. რაც შეეხება ბოლო მატჩს, იმ მატჩში მათ შეუთანხმებდნენ მეტოქეს ყაიმზე, როცა მე უფროსი ძალის ვი მტყობნობდი. საერთო მანკიანა მტყობნობელი დაფაზე კი ლევიტინას სტრატეგიულად მოსაგები პოზიცია ჰქონდა.

ბოლოს არ შემიძლია არ შევიხლო ამა წლის 3 იანვარს „სოვეტსკი სპორტში“ ქართველი მოკადრავების მიერ გამოტყვევებულ ლაწერის: როგორც მოკადრავი, მე ვგმობ ელენას საქციელს.

იგი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და ოლიმპიადებზე უნდა დაემთავრებინა. მისმა გაცხადებმა გააპარგამ არამართო შეასუსტა გუნდის ძალა, არამედ სერიოზული მორალური ზარალი მიყენა მას. ვფიქრობ, ეს წინასწარ განგარიშებული ნაბიჯი იყო: მან სწორედ იმდენი პარტია ეთამაშა, რამდენიც აუცილებელი იყო თავის დაფაზე. მედლის უზრუნველსაყოფად. ეს, სულ ცოტა, არასპორტული საქციელია...

**მანა ჩიპუაშვილი**  
„64-შახმატნიკი“  
№ 4, 1989 წ.  
იბეჭდება „სპორტული“ ჟურნალში.

**ლილი**

**გათამაზების ცხრილი**

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

საკ	თ.მ.ფ.წ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ“	4 4 0 0	14-0	8
„დინამო“ სტ.	4 2 2 0	2-0	6
„მეტალურგი“	4 2 1 1	4-3	5
„ნეფთი“	4 2 1 1	2-3	5
„სკა“	4 2 0 2	8-5	4
„კუბანი“	4 2 0 2	2-7	4
„ტავრია“	3 1 2 0	3-2	4
„კაიარტი“	4 1 2 1	4-4	4
„ფანთაქორი“	4 1 2 1	2-2	4
„სპარტაკი“	4 1 2 1	2-2	4
„კოტაიკი“	3 1 1 1	4-1	3
„როსტელმაში“	3 1 1 1	3-3	3
„დინამო“ ბ.	3 1 1 1	2-6	3
„გური“	3 1 0 2	5-4	2
„მინიკი“	3 1 0 2	1-4	2
„კუზბასი“	4 0 2 2	1-3	2
„დუგაევი“	4 0 1 3	2-7	1
„გეოლოგი“	2 0 0 2	0-2	0
„სკა“ კარაბატი	4 0 0 4	2-7	0
„ტორპედო“	2 0 0 2	1-7	0

## უკლიერესი გამოავლინა 11-მეტრიანება

საკაპვირო ბურნირი — „მინარული ბურთი“

საკაპვირო საგაზაფხულო ტურნირი „მინარული ბურთი“ ეზოების გუნდებს შორის, თბილისის გლდანის რაიონის კომპლექსის კომიტეტის თაოსნობით რომ ტარდება, ტრადიციულად. მოსწავლეთა არადღეობის დღეებში იმართება და უკვე საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ იგი უწყობს ხელს მოსწავლე-ფეხბურთელთა თამაშის დონის ამაღლებას, სხვადასხვა ქალაქებისა და რესპუბლიკის გუნდების წევრების გაცნობა-დახლოების საუკეთესო საშუალებაა.

წლებიდან, რიგით მეორე ტურნირზე, რომელიც თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სტადიონ „სინათლეზე“ გაიმართა, ათი გუნდი გამოდიოდა. შეხვედრები ორ ჯგუფად გაიმართა. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ გლდან-11, „მუხიანი“, (გლდანის რაიონი), კიევის „ფაქელი“, სვერდლოვსკის „ტემში“, „თიანეთის „იორი“. მეორეში — გლდან-1, ბელგოროდის „ასკოლი“, ომაჩი-

რის „ამირანი“, კიროვსკის „არცხანი“ და თბილისის „ანტი“. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ მსაჯობის მხრივ თამაშები უნაკლო იყო, არც სტუმრებს, არც მასპინძლებს, არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობთ, რომ არც თუ იშვიათად მსაჯობა არაობიერების გამო ბევრი კარგი ღონისძიება გაუფასურებულა.

პირველ ჯგუფში ლამაზი, გახარებული თამაში აჩვენეს „მუხიანის“ ფეხბურთელებმა (მწვრთნელი იუზა წილოსანი). მათ სამი შეხვედრა მოიგეს და ერთი ფრედ დამთავრეს. ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გასულ თიანეთის „იორთან“ (სხვათა შორის, ეს ამ ტურნირზე თიანეთელების მიერ მოპოვებული ერთადერთი ქულა იყო). მეორე ადგილზე გაივიდა კიევის „ფაქელი“. II ქვეჯგუფში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა გლდან-1-მა. (მწვრთნელი ვალოერი ხაჩატრიანი).

აღსანიშნავია, რომ გლდანელებმა ამ ტურნირში ყველაზე დიდი



ანგარიშით (10:0) მოუგეს კიროვსკის გუნდს, მომდევნო ადგილი დაიკავა თბილისის „ანტიმ“.

ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლები კვლავ დამაჯერებლად მოიგეს „მუხიანმა“ და გლდან-1-მა. მათ, შესაბამისად, ანგარიშით 3:0 და 2:0 დაამარცხეს ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასული „ანტი“ და „ფაქელი“.

შეჯიბრების ბოლო დღეს ტურნირის სახელწოდება „მინარული ბურთი“ მართლაც ზედმიწევნით მოერგო, ძლიერი ქარის გამო ბურთი დაუმორჩილებელი გახდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ფაქელმა“ დიდი ანგარიშით — 5:0 დაამარცხა „ანტი“. ამის შემდეგ მინდორზე „მუხიანისა“ და გლდან-1-ის ფეხბურთელები გამოვიდნენ.

პირველ ტაიმში ქარი მოკავშირედ გაუხდა გლდანელებს, მეკარესთან პირისპირ გასულმა გლდანელმა თავდასხმებმა ორჯერ არისტიანისა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში ქარი უკვე მუხიანელებს ეხმარებოდა. თამაშის დასაწყისშივე ლაშა კილაძემ გაათანაბრა ანგარიში, ამის შემდეგ მუხიანელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. გამარჯვებული ვერც დამატებითმა ორმა ხუთწუთიანმა ტაიმმა გამოავლინა. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, მუხიანელები, უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ. მათ მოწინააღმდეგის კარში 4 ბურთი

გაიტანეს (აკაკი ლვინიანიძე, არსენ ხინჩაგაშვილი, ნიკო ხაჩირაშვილი, კახა ზაზიაშვილი), ზოლო საკუთარი ერთი ნაკლები გაუშვეს და ტურნირის მთავარ პრიზს დაეუფლნენ.

ტურნირის საუკეთესო მეკარეს პრიზი გადაეცა ვიქტორ კაშმაკს („ანტი“), მცველისა — ვლადიმერ ტაქის („ფაქელი“), ნახევარმცველისა — აკაკი ლვინიანიძეს („მუხიანის“), თავდასხმელისა — ერიკ შენგელიას („ამირანი“), საუკეთესო მოთამაშედ ნახარ ზუმაბარანი (გლდან-1). მიიჩნინეს, ბომბარდირის პრიზი დიმიტრი ზუმბოკოვა მოაპოვა („ფაქელი“), შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო ტფილისის საკაპიანი (კიროვსკიანი).

**სურათებზე:** თამაშის მომენტი: ტურნირში გამარჯვებული მუხიანის გუნდი — პირველ რიგში (მარცხნიდან): ზაზა კოდალაშვილი, მინდია ქაჯაია, არსენ ნონიკაშვილი, აკაკი ლვინიანიძე, გიორგი ჩილაჩავა, ნიკო ხაჩირაშვილი, ავთანდილ თოლოშვილი, კახა ზაზიაშვილი; მეორე რიგში — კობა ნარინიანიძე, ზურაბ ტუაფი, მიხეილ მერაბიშვილი, გიორგი ქვარაცხელია, დავით მახარაბიშვილი, მამუკა მისურაძე, ლაშა კილაძე, დათო მარუაშვილი, ალექსანდრე ქაჯიანიძე, შოთა ჩიტიაშვილი და მწვრთნელი ნუგზარ წილოსანი.

**ქვემო კასრის ტექსტი და ფოტო**

### ფინალურ შეხვედრათა მსაჯვა

ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირში დანიშნა კონტინენტის საკლუბო გათამაშებათა ფინალური მატჩების არბიტრები.

24 მაისს ბარსელონაში შედგება ჩემპიონთა თასის შეხვედრა იტალიის „მილანსა“ და რუმინეთის „სტიაუსა“ შორის. მსაჯია კ. ხ. ტრიჩიერი (გერ).

9 მაისს ბერნში თასების მფლობელთა თასის გადამწყვეტ მატჩში იასპარეზებენ „სამპდორია“ (იტალია) და „ბარსელონა“ (ესპანეთი). არბიტრობს ინგლისელი დ. კურტნი.

უეფა-ს ფინალში პირველ მატჩს 3 მაისს ნეაპოლში იტალიის „ნაპოლისა“ და გერმანიის ფადერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტის“ შორის იმსაჯებს ესპანელი სანჩეს არმინო. იგივე გუნდები 17 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან შტუტგარტში, არბიტრია ვ. ვერმანკოსი (საბერძნეთი).



### უხსოვრის ფაზის პეპე

**● ალკიანი** ნახევარმცველი ენცი შიფო სულ უფრო სუსტად თამაშობს. იგი ჯერ მილანის „ინტერიდან“ დაითხოვეს, ახლა მას „ბორდო“ დაედგინა და სარეზერვო გუნდში გადაიყვანა. შიფო აქამდე საფრანგეთის III ლიგაში თამაშობს. მასთან ერთად „ბორდო“დან წავიდა იუგოსლავიელი ზორან ეუოვოჩი.

**● მიუნხენის** „ბაიერის“ 31 წლის ცენტრალურმა მცველმა კლაუს აუგენტალერმა 3 წლით გაავრძელა კონტრაქტი კლუბთან.

**● ღუბაის** თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და შოტლანდიის ჩემპიონები. ძირითად დროში „სელტიკმა“ და „ლივერპულმა“ თითოჯერ მოახერხეს გოლის გატანა. პენალტების სერიით გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა — 5:3.

**● ვინ ზაზაა** 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე? ამ კითხვით მიმართა სპორტულ ჟურნალისტებს იტალიურმა გაზეთმა „ილ მონდოალიმ“. ხუთეულში დაასახელეს მალდინი (იტალია), პროტასოვი

(სსრკ), ვილი (იტალია), ლორენტე (ესპანეთი), ტონი (გერ).

**● საპარაქეთის** ფედერაციამ ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტი შესთავაზა 33 წლის იუგოსლავიელ ველიმირ ზაეცს, რომელიც წლების განმავლობაში ათ-



**● მარსელში** „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ხელს არ შეუშლის თავდასხმელ ერიკ კანტონას, თუ კი იგი გუნდიდან წასვლას მოისურვებს. კანტონას თავისი მძიმე ხასიათის გამო უკვე მეორედ მოსდის სკანდალი, ამას გარდა, მას კონფლიქტი მოუვიდა ნაკრების წინა მწვრთნელთან და იქიდანაც დაითხოვეს. მიშელ პლატინი, აღნიშნავს რა კანტონას დიდ შესაძლებლობებს, არ ჩქარობს მის დაბრუნებას „სამფორიანთან“ რიგებში. ახლა კანტონა „ბორდოში“ ჩაირიცხა.

# სანი ჩეპირონი საქართველოდან


**თავისუფალი** სტილის იუნორ მოქიდავეთა საკავშირო პირველობაში, რომელსაც ამ დღეებში კემეროვო მასპინძლობდა, 200-ზე მეტი ახალგაზრდა ათლეტი მონაწილეობდა. საუფრობო შეჯიბრებაში ყველაზე ფართოდ რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და საქართველო იყვნენ წარმოდგენილი და ბუნებრივია, ყველაზე ბევრი საპრიზო ადგილი სწორედ მათ დასაკუთრეს.

ჩვენი რესპუბლიკის 20-ზე მეტი მოქიდავედან სამმა პირველი ადგილი დაიკავა, ორმა კი მეორე. 68 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა ქაბუჯთა შორის ევროპის ჩემპიონმა, გორელმა გიორგი ხინჩიკაშვილმა (თბილისის არმიის სპორტული კლუბი). ქართველმა მოქიდავემ კემეროვოს სარბილეზე სულ 7 შეხვედრა ჩაატარა და შეიძვე მოიგო. ფინალში მან ქულებით (7:0) აჯობა ორჯონიკიძელ გიორგი ცო-


რავეს. ხინჩიკაშვილი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხივარდლის აღსაზრდელია.

თავი გამოიჩინა ქაბუჯთა შორის ევროპის კიდევ ერთმა ჩემპიონმა, ყვარულმა გიორგი ივანიშვილმა („შრომითი რეზერვები“, უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსი), რომელიც 74 კგ-ში ასპარეზობდა. მან ექვსი შეხვედრიდან ხუთი წმინდად მოიგო. გამარჯვებუი ორთაბრძოლა მარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზორთან კიეველ ოლეგ ვიტკოსთან დროზე ადრე დაამთავრა. ივანიშვილის მწვრთნელებია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი და თამაზ კონკოშვილი.

მესამე უმაღლესი წილდო ვერც 100 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ სოხუმელს გელა უბილაკას (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოე-



გიორგი ხინჩიკაშვილი



გიორგი ივანიშვილი



გელა უბილაკა

ბა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი). მან ექვსი შეხვედრიდან ყველა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, მათ შორის ფინალური ორთაბრძოლა (ანგარიშით 9:1) დონეცკელ ტარას დარჩუკთან. უბილაკას წვრთნის სპორტის ოსტატი არმავ შენგელია.

საქართველოს მოქიდავეთაგან მე-

ორე ადგილები დაიკავეს 82 კგ-ში მთავრად კახა ჯაბიძემ (შრომითი რეზერვები, ზოოტექნიკურ სავეტერინარო ინსტიტუტის სტუდენტი) და მძიმე წონაში თბილისელმა მერაბ ვალიევიამ (არმიის სპორტული კლუბი).

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: სერგეი გუბრენიუკი

(ლვოვი), რამილ აბუშევი (მახაჩკალა), ბუგარ ორუჩევი (გომელი), ნარაირ გევორქიანი (არტაშატი), არმენ პურტოიანი (ერევანი), ოლეგ ლადიკი (კიევი), ანდრეი შუმილინი (კალინინგრადი).

ყველაზე ტექნიკური მოქიდავისთვის დაწესებული პრიზი ლვოველ სერგეი გუბრენიუკს გადაეცა.

## პალები — შოტლანდია

**გორში** დაიწყო საქართველოს მოქალაქე ვაჟთა 49-ე ჩემპიონატი. ქალაქის ახალგაზნის სასპორტო კლუბი „მოიებში“ სასპორტო მოიყარა თავი თორმეტმა მოქალაქემ. შეჯიბრების ინტერესს მატებს საერთაშორისო დილსტატ ქეთევან არახამიასა და საერთაშორისო ოსტატ ცილა ქასოშვილის მონაწილეობა, თუმცა ისინი უკონკურსოდ თამაშობენ. სამი საუკეთესო მოქალაქე მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის შესაბრძოლველ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას.

წილისკრის შედეგად მეტოქენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: იგორ ეფიმივი (თბილისი, საერთაშორისო ოსტატი), ხვიჩა სუპატაშვილი (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი), თამაზ ტაბატაძე (თბილისი, ოსტატი), ცილა ქასოშვილი (გორი), ავაკი იაშვილი (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი), ქეთევან არახამია (თბილისი), თემურ ვალიევი (ცხენვლი, ოსტატობის კანდიდატი), ნურკი მანავაძე (ქუთაისი, ოსტატობის კანდიდატი), რომან სიჭინავა (ცხაკაია, ოსტატობის კანდიდატი), ბესიკ ხეცურაიანი (ქუთაისი, ოსტატობის კანდიდატი), ვია ბალათურავი (თბილისი, ოსტატი), დავით ლობჯანიძე (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი).

შეჯიბრების დაწყების წინ მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას.

წუთიერი დემილის შემდეგ ტურნირის მთავარმა მსაჯმა გურამ მუქინაშვილმა ჩართა სათები. აი, რა შედეგები აღინიშნა პირველ დღეს: ეფიმივი-ლობჯანიძე 0,5:0,5, სუპატაშვილი-ბალათურავი 0,5:0,5, ქასოშვილი-სიჭინავა 1:0, იაშვილი-მანავაძე 1:0, არახამია-ვალიევი 0,5:0,5. გადაიდო ტაბატაძე-ხეცურაიანის პარტია.

## ახალი რეიტინგები

**საპროტა** კავშირის შაშის ფედერაციამ გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის მოშაშეთა ინდივიდუალური კოეფიციენტები. ვთავაზობთ დაწინაურებულთა ჩამონაკრებს და საქართველოს მოშაშეთა რეიტინგებს.

- ა. ჩიოვი — 2712, ვ. ვალერიანი — 2668, ა. შვარცმანი — 2655, ვ. ვირნი — 2648, ვ. მილანი — 2648, ვ. შვგოლვი — 2644, ა. ვერხოვინი — 2620, ნ. მიშანსკი — 2618, ე. ვატუტინი — 2617, მ. კორენევი — 2614...
- ა. გოიხანი — 2509, ჯ. ბერიშვილი — 2508 (ორივე — საქართველო) და სხვ.

## დაპარხნულად იბრძვის ორი გუნდი

**სტოკოლში.** პოკისტა მსოფლიო ჩემპიონატის მესხუე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია 4:2 (1:1, 1:0, 2:1), შვეიცია — კანადა 6:5 (2:3, 2:1, 2:1), აშშ — ფრ 7:4 (0:0, 4:3, 3:1), ფინეთი — პოლონეთი 7:2 (2:1, 2:1, 3:0).

ხუთი ტურის შემდეგ სნაიპერთა სიას შეიძინა შიბით გატანილი და ოთხი საგოლე გადაცემით სათავეში ჩაუდგა კანადელი ორბერ ბელოუზი (11 ქულა). ასეთივე შე-

დეგით (სამი პლიუს რვა) მეორე ადგილზეა შვედი ნილსენი. ჩეხოსლოვაკიელ რუჟიჩკას 9 ქულა აქვს (ხუთი პლიუს ოთხი).

ჩემპიონატის ეიურში ამერიკელი კორი მილენი მოხსნა გათამაშებიდან დობიზის მიღების გამო. პოკის საერთაშორისო ფედერაციამ მას 18 თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. დისაჯა აშშ-ს გუნდიც. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის პოკისტებთან მას წაგება ჩაეთვალა შესაბამისად 0:5 და 0:8 (ნაცვლად 4:5 და 2:8-ისა).

## გორების საპლატოპრო მოქმედება

### იუგოსლავია

**დასასრულს** უახლოვდება ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ეტაპი — წინასწარი თამაშები, რომელიც „პლეი-ოფის“ სერიის მონაწილე გუნდებს დაასახელებს. სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებია ნობა. ლიდერობენ „პარტიზანი“ (36 ქულა) და „იუგოსლავია“ (36). მიმომხილველთა სურათის სობა ვარაუდობს, რომ ჩემპიონის ტიტულის მთავარი პრეტენდენტები სწორედ ეს ორი გუნდია: სხვათა შორის, ორივენი წარმატებით გამოვიდნენ ევროპული თასების გათამაშებაში. ალბათ იცით, „პარტიზანი“ რ. კორაჩის თასს დაეუფლა, ხოლო „იუგოსლავიამ“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მიუნხენში ჩემპიონთა თასზე.

ბოლოსწინა ოცდამეერთე ტურის ცენტრალური მატჩი იყო ბელგრადში ლიდერებს „პარტიზანს“ და „იუგოსლავიას“ შორის. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, თავიდანვე ხელთ იგო უპირატესობა და პირველი ტიში 11 ქულით მოიგო (49:38), „პარტიზანმა“. მეორე ტიში ბელგრადელებმა შეინარჩუნეს უპირატესობა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს — 94:84, ჩინებულად ითამაშეს ყარკი პასპალმა

(29 ქულა) და ალექსანდრე ჯორჯევიჩმა (16). დამარცხებულ გუნდში კი ტონი კუკოჩმა (19) და დინო რაჟა (16), „ზადარმა“, რომელიც 35 ქულით მესამე ადგილზეა, გასვლით მატჩში დაამარცხა აუტსაიდერი „ბორატი“ — 98:74. ლიუბლიანის „ოლიმპია“ შიბენკაში სძლია ადგილობრივ გუნდს — 90:77. „ციბონამ“ საკუთარ მოედანზე ზაგრებში აჯობა „ცრევენა ზეზდას“ — 78:75.

### ესპანეთი

ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერთა ორი მატჩი: მადრიდი — „რეალი“ — „კაი სარაგოსა“, ხოლო „ბარსელონა“ მასპინძლობდა „პუენტელო“ ბადალონას. „რეალი“ ვარკვეული პრობლემები ჰქონდა, რადგან არ თამაშობდნენ გუნდის ძირითადი ცენტრები მარტინი და რამეი. ამიტომ მისი მთავარი კოზირი იყო ზუსტი სნაიპერული სროლები, რამაც გაამართლა კიდევ და „რეალიმ“ მეტად ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 117:116. დრავენ პეტროვიჩმა გუნდს შეისძინა 42 ქულა, როგორცა — 25, ხოსე ბირუკოვმა — 18, დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ამერი-

### გათამაშების ცხრილი

სსრ კავშირი	5	5	0	29-7	10
შვეიცია	5	4	1	24-14	9
კანადა	5	4	1	38-12	8
ჩეხოსლოვაკია	5	3	1	28-8	7
ფინეთი	5	1	4	16-21	2
აშშ	5	1	4	11-25	2
ფრ	5	0	2	18-26	2
პოლონეთი	5	0	5	4-50	0

**იტაპა.** გაიმართა პროფესიონალ პოკისტთა პოპულარული ტურნირის — სტენის თასის მეოთხედფინალური მატჩები. „მონრეალ კანადიენსმა“ დაამარცხა „ბოსტონ ბრუინსი“ — 5:4. ამ სერიაში წინ არიან ნორვეელი პოკისტები — 3:0. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მეორე მეოთხედფინალური მატჩიც „პიტსბურგ პინგვინსსა“ და „ფილადელფია ფლაიერსს“ შორის — 4:3. „პიტსბურგმა“ ჯერჯერობით იგებს სერიას ანგარიშით — 2:1.

კელები ვუდი (30) და ტურპინი (20). თავისი აღიარებული ლიდერის უსანეპიფანიოდ ითამაშა „ბარსელონამ“. მატჩის გმირად აღიარეს ამერიკელი ვაიტერსი, რომელიც 18-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს, რითაც უზრუნველყო ფარისქვეშ ბრძოლაში „ბარსელონას“ უპირატესობა. 97:91 გაიმარჯვა „ბარსელონამ“. მის რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ანდრე პიმენესი (23 ქულა). ჩემპიონატს 7 გამარჯვებით ლიდერობს „რეალი“.

### იტალია

აქ პირველობას ერთობრვენულად ლიდერობს „სკავოლინი“ (38 ქულა), რომელსაც კვალში მიჰყვება გუნდების დიდი ჯგუფი, რომელსაც 34-34 ქულა აქვთ: „ფილიპისი“, „ენიპეი“, „ბენეტონი“ და „სნაიდერი“, 32-32 ქულა აქვს „ლივინგესს“, „კინოსს“ და „პანისს“. 28-ე ტურის შედეგებიდან ყურადღებას იპყრობს ჩემპიონატის ლიდერის და მარშანდელი ჩემპიონის „სკავოლინის“ დამარცხება სტუმრად „კარინისთან“ — 79:94. „ფილიპისმა“ მილანში დიდი ანგარიშით სძლია ვენეციის გუნდს — 99:76. „სნაიდერმა“ კაზერტაში აჯობა „პანისს“ — 84:72. „ვივამ“ კანტატი წააგო „დივარესსთან“ — 86:93.

### მერაბ კალანდაძე.

პრის“ გათამაშება დაგვანახებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფისა) განიხილავს სსრ კავშირის საავტომობილო სპორტის ფედერაციის განცხადებას ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარების თაობაზე. თუმცა, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ასეთი ეტაპი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ 1991 წელს, რადგანაც სოციალისტურ ქვეყნებში მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ეტაპის ჩატარების უფლება 1990 წლის ჩათვლით შეეძინა აქვს უნებარი.

## გორების სერიოზული განახალი

**ავტოსპორტის** მოყვარულებმა იციან, რომ დღეს, სან-მარინოში, გაიმართება „ფორმულა 1“-ის კლასის ავტომობილის რბოლაში მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონატის მეორე ეტაპი. იმოდის ტრასაზე უკვე ჩატარდა საკვალიფიკაციო რბოლები, სადაც საუკეთესო შედეგი ჰქონდა ავსტრიელ გერპარდ ბერგერს, რომელიც „ფერარის“ გუნდის სახელით ასპარეზობს. მისმა მანქანამ მაქსიმალური სიჩქარე



განავითარა, საათში 176,531 კმ. შეძლებს თუ არა ბერგერი თავისი სერიოზული განაცხადის განხორციელებას? ამას სან-მარინოს „გრან

## პირიდან პირამდე

„პრავდა“ — 17 აპრილი. „შეხედეთ ნორჩებს თვალბში“. წერილის თემა ბავშვთა სპორტი, რომელიც წლითწლით სულ უფრო მახინჯ ფორმებს იღებს.

„ბრუნი“ — 22 აპრილი. „კვლავ დობინგი“. გახეთის სპეციალური კორესპონდენტის ინფორმაცია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის სტატუსში.

„სპორტის სპორტი“ — 16 აპრილი. „ფორმულა 1“ ანი-დან პემე“. წერილი მომხადებულა უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

18 აპრილი. „დამიანები ბრბოდან“. რეპორტაჟი კიევიდან, სადაც 15 აპრილს ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდები.

20 აპრილი. „ფრთხილად, დობინგი“. სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა დისკუსიის თემა დობინგი.

22 აპრილი. „შევი მაგია“. წერილი იბეჭდება რუბრიკით „დიდი ქალაქის საიდუმლოებანი“.

## „სპორტპროგნოზი“

**სპორტული** ლატარეების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-16 ტრავის შედეგები, რომელიც 1989 წლის 15 აპრილს გაიმართა.

ტრავში დაშვებულია 4.453.037 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (4) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (61) — 2.190 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1005) — 491 მანეთი.

საქართველოში: 13-0, 12-0, 11-13. მე-16 ტრავის მოგებები ვაიცემა 1989 წლის მისიდან 5 იენის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარეების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 16 აპრილს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-16 ტრავების შედეგები.

„სპორტლოტო 645“-დან დაშვებულია 1834609 ვარიანტი. ექვსი ციფრი ერთმა აღამიანმა გამოიწყო, რომელიც 10 000 მანეთს მიიღებს. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (56 ვარიანტი) მოგება 982 მანეთია, ოთხისთვის (2830) — 29, სამისთვის (42 932) — 3. საქართველოში: 6-0, 5-1, 4-58, 3-764.

„სპორტლოტო 586“-დან დაშვებულია 19628212 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (17 ვარიანტი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4227) — 217, სამისთვის (168496) — 11.

საქართველოში: 5-1 (სოხუმი), 4-89, 3-3570.

მე-16 ტრავების მოგებები ვაიცემა 1989 წლის 1 მაისიდან 1 იენისის ჩათვლით.

## რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.